დანართი 2-EP-QA 1.1

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები

1.1 პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ემერეტუსი;

1.2 პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა.

1.3 განსაკუთრებულ შემთხვევებში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუკი პროგრამა არის დარგთაშორისი (ინტერდისციპლინური), ან პროგრამას გააჩნია სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების მოდულები, პროგრამას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი.

1.4 სწავლების ერთ საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის) ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას.

1.5 პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნებია:

I. აკადემიური ხარისხი (საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულების/დარგის შესაბამისად);

II. სამეცნიერო შრომები საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულების/დარგის შესაბამისად (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

III. პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება (მათ შორის უმაღლესი განათლების სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ცოდნა, კომპიუტერული უნარების ფლობა, სასურველია უცხო ენის (პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე)ცოდნა;

IV. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს პროგრამის შემუშავების, რეალიზაციის, მონიტორინგისა და სრულყოფის (განვითარების) სამუშაოებს. იგი პასუხისმგებელია აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე;

V. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის პროცესში, პროგრამის სრულყოფის მიზნით ეცნობა შედეგებს, რეაგირებს მათზე, აანალიზებს და აფასებს მათ.